ქალაქ თბილისის საკრებულოს
სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №29

18.07.2023 თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
12:00 საათი

<u>სხდომას ესწრებოდნენ:</u>

1. შალვა ოგბაიძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. გიორგი ახვლედიანი - კომისიის წევრი;
3. რევაზ სოხაძე - კომისიის წევრი;
4. გურამ ოქროპირიძე - კომისიის წევრი;
5. მარიამ ზაქარიაშვილი- კომისიის წევრი;
6. სალომე კობალაძე - კომისიის წევრი;
7. ნინო წულაძე - კომისიის წევრი.

სხდომის დღის წესრიგი:

- თბილისის საზოგადოებრივი ავტობუსების განვითარების სტრატეგია

სხდომას თავმჯდომარეობდა - **შალვა ოგბაიძე.**

მოწვეული სტუმრები:

- **ონდრე კოკეშ** - საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანია,,Mott MacDonald";
- **მარკ სელინი** - საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანია,,Mott MacDonald";
- **ნანა ადეიშვილი**- საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანია,,Mott MacDonald".

შ.ოგბაიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მომხსენებლებს სთხოვა წარმოედგინათ თბილისის საზოგადოებრივი ავტობუსების განვითარების სტრატეგიის პროექტი.

მ.სელინმა ისაუბრა სტრატეგიის მნიშვნელობაზე და პროექტით გათვალისწინებულ პრიორიტეტულ მიმართულებებზე. მისი განცხადებით, საზოგადოებრივი ტრანსპორტი უნდა ემსახურებოდეს ქალაქის ეკონომიკურ განვითარებას, მდგრადობას და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას.

მ.სელინის განმარტებით, თბილისის საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარების სტრატეგიის სამუშაო ვერსიაში ძირითადი აქცენტები გაკეთებულია ისეთ საკითხებზე, როგორიცაა:

- საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობის დროის გაუმჯობესება;
- დედაქალაქის მასშტაბით ე.წ. „BUS LANE"-ების დაფარვის არეალის ზრდა;
- საზოგადოებრივ ტრანსპორტზე წვდომის გაზრდა;
- ინტელექტუალური სატრანსპორტო სისტემის მაქსიმალური სრულყოფა (ჭკვიანი შუქნიშნები და ა.შ.);
- სატრანსპორტო სისტემაში დასაქმებული ადამიანების ცოდნის ამაღლება და ამ მიზნით, მათი გადამზადება.

ამის შემდეგ, შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

შალვა ოგბაიძე